მინდვრის მუშრომელთა ღირსების საქმე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმიდან ერთი წელი გავიდა. სწორედ ერთი წლის წინათ განხორციელდა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობის გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო. ამ თარიღს ემთხვევა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო წლის დამთავრებაც. განვლილი ერთი წლის დამავალზე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ზრუნვას იჩენენ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — სოფლის მეურნეობის წინსვლისათვის. სოფლის მეურნეობაში კი მთავარია მარცვლეულის წარმოების გადიდება. „ჩვენ ყველანი ვეყრდნობით იმას, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მაშასადამე, ზრუნვა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს“, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე.

ახლა მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაში უნდა გახდეს მინდვრის მოსავლიანობის გადიდება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაცია.

მარცვლის საერო გამოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებს, რომლებსაც პარტია სახავს, მხურვალედ იწონებენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელნი. ეს ერთსულოვნად ცხადყვეს ზონალური თათბირების მონაწილეებმა სიღნაღში, გორსა და ზუგდიდში.

მომდინარე წელს რესპუბლიკის მინდვრის მშრომელებმა ძნელ კლიმატურ პირობებში დიდ წარმატებას მიაღწიეს — ნაცვლად 200.000 ტონისა სამშობლოს მისცეს 200.500 ტონა მარცვლეული. ამ სახასელო შრომითს საქმიანობაში დიდი წვლილი შეიტანეს სიღნაღის, გორის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, დუშეთის, ხაშურის, ახალციხის, ახალქალაქის, ზესტაფონის, მახარაძის რაიონების მინდვრის მშრომელებმა. სიღნაღელმა მხვნელ-მთესველებმა ნაცვლად 36.407 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 53.776 ტონა მარცვლეული.

მინდვრის მშრომელთა წარმატება უთუოდ მისასალმებელია. მაგრამ ეს ამას როდი ნიშნავს, რომ მიღწეული დონე სრულად შეესაბამება რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში ჯერ კიდევ არ უთმობენ საკმარის ყურადღებას მარცვლეული კულტურების, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, მოსავლიანობის გადიდებას. მთლიანად არ აუმოქმედებიათ ისეთი რეზერვები, როგორიც არის სარწყავი მიწების ეფექტიანად და სრულად გამოყენება, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდება გამოუყენებელი სახნავების ხარჯზე, ორგანული და მინერალური სასუქებისა და მერქნიცდების ფართოდ გამოყენება და სხვ.

ალაზნის, ტირიფონის, სამგორისა და სხვა სარწყავი არხები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული სარწყავად. ზოგან მემინდვრეები რწყვას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და მოსავლიანობაც დაბალია, ან ავიღოთ ასეთი ფაქტი: სიღნაღის, ხაშურის, დუშეთის და სხვა საწარმოო სამმართველოთა მეცხოველეობის ფერმებთან ორგანული სასუქების მთები დგას, მაგრამ მას არ იყენებენ. ეს ხომ დამარხული რეზერვებია!

ქიმია სოფლის მეურნეობაში სასწაულებს ახდენს. უყბანელ მინდვრის მშრომელთა გამოცდილება გვასწავლის, რომ მინერალური სასუქების გამოყენებით დიდად იზრდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. ახლა მინერალური სასუქების წარმოების გადიდებას პარტია შეუნელებელ ყურადღებას აქცევს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება ის არის, რომ მომდინარე წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტი განიხილავს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ბევრ საწარმოო სამმართველოში ამ ბოლო დროს შეინელეს ყურადღება მინერალური სასუქების დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი. მინერალურ სასუქებს მემინდვრეობაში ნაკლებად იყენებენ აღმოსავლეთ საქართველოს საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობები.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მარცვლეული მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხზე იმსჯელეს და დასახეს ღონისძიებანი 1964-1965 წლებში მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის. ამ ღონისძიებაში ნათქვამია: „მარცვლეული კულტურების ნათესები 1964 წელს გაადიდონ 485,8 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 180 ათას ჰექტარამდე (აქედან „უფხო-1“ ჯიშის ხორბლისა — 70 ათას ჰექტარამდე), ხოლო 1965 წელს — 500 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 141,6 ათას ჰექტარამდე (აქედან „უფხო-1“ ხორბლისა — 96,8 ათას ჰექტარამდე)“.

ეს დიდი და საპატიო ამოცანაა. მინდვრის მშრომელები თავდადებით იბრძვიან ამ საპატიო დავალების დროულად და სახასელოდ შესრულებისათვის. მიუხედავად ამისა, ზოგან მაინც აქვს ადგილი ჩამორჩენას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებმა ქ. გორში გამართულ ზონალურ თათბირზე თქვეს, საშემოდგომო თესვას აგროვადებში დავამთავრებთო, აგროვადები კარგა ხანია გავიდა, მაგრამ მათ 15 ნოემბრისათვის ნაცვლად 10.223 ჰექტარისა საშემოდგომო კულტურები დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 5.539 ჰექტარი. ასევე ითქვის ამბროლაურის, დუშეთის და სხვა საწარმოო სამმართველოებზე. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მომავალი წლის, შვიდწლედის მეექვსე წლის უხვ მოსავალს სწორედ ახლა ეყრება საფუძველი. გეგმის შეუსრულებლობას ზოგჯერ ავდრებს აბრალებენ, მაგრამ მომდინარე წლის შემოდგომა ამის საბაბს არ იძლევა.

როდესაც მომავალი წლის მოსავლიანობის გადადებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხი. გაზაფხულისათვის კი ახლავე უნდა ვემზადებოდეთ. მზრალი რომ უხვი მოსავლის საწინდარია, ეს დიდი ხანია პრაქტიკით დადასტურებულია, მაგრამ ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ამას ვერ ითვალისწინებენ და სწორედ ამიტომ არის, რომ მზრალად ხვნის დავალება რესპუბლიკაში სანახეროდაც არ არის შესრულებული. დასავლეთ საქართველოს რაიონებში მზრალად ხვნის საქმეს რატომღაც დიდ ყურადღებას არ აქცევენ. მათ წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს გამოცდილება ფართოდ უნდა დანერგონ წარმოებაში. წყალტუბოელები ხომ ამ უკანასკნელ წლებში სწორედ სათოხნი კულტურების მზრალზე თესვით აღწევენ მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე აგრობიოლოგიურ მეცნიერებასა და ქიმიზაციასთან ერთად წამყვანი როლი ტექნიკურ აღჭურვილობას ეკუთვნის. დღეს სოფლის მეურნეობაში უმექანიზაციოდ შორს ვერ წავალთ. ტექნიკა კი მაშინ ამართლებს იმედს, როცა მას მზრუნველი ხელი მართავს. რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ტექნიკა საკმაოდ არის, მაგრამ მას ზოგან სათანადოდ მთელი დატვირთვით ვერ იყენებენ. ზოგან კი სამუშაოთა დამთავრების შემდეგ უყურადღებოდ ტოვებენ. ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები სამუშაოთა დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა რემონტდებოდეს, მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება ბევრგან მიივიწყეს. რესპუბლიკაში ტრაქტორების რემონტის გეგმა 19,5 პროცენტით არის შესრულებული. ამ საქმეში თითქმის ყველა საწარმოო სამმართველო ჩამორჩება. რაც მიუტევებელია.

რესპუბლიკის მინდვრის მშრომელთა, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტის საპატიო ვალია იზრუნონ მარცვლეული კულტურების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, შვიდწლედის დავალებათა დროულად და გადაჭრებით შესრულებისათვის.

ეს მინდვრის მშრომელთა ღირსების საქმეა.

შვიდწლედის მეხუთე წელი — ვადამდე!

ინიციატორები კვლავ პირველობენ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრების წამომწყებნი — ზესტაფონელი მეტალურგები სიტყვას არ ტეხენ, უფრო და უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს, მეტ და მაღალხარისხოვან შენადნობს აძლევენ სამშობლოს.

მეტალურგებმა ამ დღეებში სასახარულო ამბავი შეიტყეს. ისინი III კვარტალის მაჩვენებლებით რესპუბლიკაში კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდნენ, შეინარჩუნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ფერომდნობელები ამ მაღალ ჯილდოს ბეჯითი შრომით უპასუხებენ. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ლითონის გამოდნობის ათი თვის დავალება, დაზოგეს თერმეტ მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, დიდძალი მასალები, ნედლეული, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

მარტო პირველი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ინჟინერ-მეტალურგი ლ. მაღლაკელიძე უძღვება, ათ თვეში სამშობლოს მისცა ათას ტონობით ზეგეგმითი ლითონი და დაზოგა ცხრა მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

პირველს აქაც მეორე საამქროს კოლექტივი ჩამორჩება, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, ერო-ერთი პირველი ქართველი მეტალურგი ქალი ნ. ქათამაძე ხელმძღვანელობს. აქ ზრდიან ლითონის გამოდნობას, ამცირებენ მის თვითღირებულებას. შეჯიბრების თაობაზე ერილობას ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ.

ქუთაისის მარკით

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას. ქალაქის მრეწველობამ ათი თვის გეგმა ვადამდე შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ახეული ათასი მანეთის პროდუქცია. მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები ახლა უშვებენ მრავალ ისეთ პროდუქციას, რომელმაც სახელი მოიხვეჭა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ქუთაისის მარკით პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში.

ელექტრომექანიკური ქარხანა, რომელმაც წარმატებით ათვისა საშახტო ელმავლების წარმოება და გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს, თავის პროდუქციას უგზავნის მსოფლიოს ათ ქვეყანას. საშახტო ელმავლებსა და ტურბინებზე დიდი მოთხოვნილებაა კამბოჯაში, ირანში, ერაყში, ავღანეთში, ინდოეთში და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში. ამას წინათ საშახტო ელმავლები გაიგზავნა ბულგარეთსა და კუბაში.

საავტომობილო ქარხანაზე, რომელიც წარმატებით იბრძვის რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატისათვის“, ახალი წარმატება მოიპოვა — ათი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, თვითღირებულების შემცირებით ეკონომია მიიღო, დაფარა ყოველგვარი ხარჯები და სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა. ავტომშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. მინიმუმამდე დავიდა რეკლამაციები. ქართული ავტომობილები და სათადარიგო ნაწილები ახლა 20 ქვეყანაში იგზავნება.

საწარმოთა კოლექტივები გამართულად მუშაობენ ნოემბერშიც. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

ზეგეგმითი მადანი

კვაისის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა. აქ ზეგეგმით მადანს იღებენ ნოემბერშიც.

კვაისის მაღაროელებმა კალდებულება იკისრეს მადნის მოპოვების წლიური დავალება 5 დეკემბრისათვის შეასრულონ. (საქდესი).

ჰროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 270 (12782) | ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მხარს უჭერენ სიღნაღელებს

სამშობლოს ბედღებში — მეტი პროდუქტები

ახლა, როცა მშრომელების წინაშე მარცვლეულის გადიდების ახალი ამოცანები დგას, — განაცხადა საუბარში წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. აბესაძემ, — ავწონ-დაგწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სარწყავი მიწების გამოყენებას. 1964 წელს სიმინდი და ბოსტნეული კულტურები სარწყავზე დაითესება 10 ათასი ჰექტარი ნაცვლად წელს დათესილი 4 ათასი ჰექტარისა. სოფლების გვიშტიბის, საყულიეს, პატრიკეთის და ფარცხანაყანევის კოლმეურნეობებში 1000 ჰექტარზე ამოშრობილ იქნება ჭაობი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სიმინდისა და ბოსტნეულის დასათესად ათვისებულ იქნას ათას ჰექტარამდე ყამირი მიწა. სასუქების ეფექტიანად გამოყენების მიზნით რაიონში ჩამოყალიბებულია ნიადაგის შემსწავლელი აგროქიმიური ლაბორატორია. ეს საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის მუშაკებს გაარკვიონ სად რა დოზით გამოიყენონ სასუქები.

ნოვატორი ჯისრულობს

კოლმეურნეობის მესიმინდე მუქურებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ სიმინდის უხვი მოსავლის მიღება შესაძლებელია ყოველგვარ ამინდში, ნოვატორმა მესიმინდემ ჯ. ჯამაშურიამ საუკეთესოდ დაამუშავა 1 ჰექტარი სიმინდის ნათესი და გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 76 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

გადაწყვიტეთ 1964 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი სიმინდი, ხოლო მესიმინდემ ჯ. ჯამაშურიამ იკისრა ჰექტარზე მიიღოს სულ მცირე 100 ცენტნერი სიმინდი.

ბ. მინდაძე.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ყვარლელთა ვალდებულება

ყვარლელმა მხვნელ-მთესველებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესეს 15.600 ჰექტარი ნაცვლად 15.362 ჰექტარისა. აქედან 70 პროცენტი დათესეს უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი „უფხო-1“. ახლა ხორბალი გეგმის ზევით ითესება.

სიღნაღელთა პატრიოტული მოწოდების პასუხად ყვარელი მხვნელ-მთესველები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს 1964 წელს ურწყავზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ ხორბალი 20 ცენტნერი, 5.400 ჰექტარი სარწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი. სიმინდი დათესონ 3.500 ჰექტარი, აქედან სარწყავზე 2 ათასი ჰექტარი. და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ სულ მცირე 50 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო ურწყავზე — 40 ცენტნერი.

მარცვლეულის წარმოების რეზერვი

1964 წლისათვის გადაწყვეტილი გვაქვს საშუალოდ ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობა გავზარდოთ 2 ცენტნერით, სიმინდისა — 5 ცენტნერით, ხოლო ლობიოსი — 3 ცენტნერით. ყველგან დაინერგება უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი „უფხო-1“. გათვალისწინებული გვაქვს ყველა ფართობზე სიმინდთან შერევით დათესოს ლობიო და როგორც ხორბლის, სიმინდის, ისე ლობიოს მოსავლიანობის გადიდების მიზნით ნათესებში მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ორგანული და მინერალური სასუქები, ჰერბიციდები.

ბ. მაისაშვილი.

ხაშურის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ზრომითი პატაკები

ეშელონები ქვანახშირით

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივმა სამეურნეო წლის დასაწყისიდან სამშობლოს 1.600 ტონაზე მეტი ზეგეგმითი „შავი ოქრო“ მისცა.

შახტში მოწინავეა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ივანე ტუტაკი უდგას სათავეში. ბრიგადამ ათი თვის დავალება 102,9 პროცენტით შეასრულა და გეგმის ზევით 95 გრძივი მეტრი გვირაბი გაიყვანა.

კვლავ მოწინავეთა რიგებშია ახალგაზრდა ინჟინრის გენო დოლიძის უბანი. უბნის კოლექტივი ყოველდღიურად 120-150 ტონა ზეგეგმით ქვანახშირს იძლევა.

დ. ჩაკაბერია.

ახალი ქსოვილები

ნაიოფიერ მუშაობას ეწევიან გორის ბამბეულის კომბინატის დესანტორები — ახალი სახის ქსოვილების შემქმნელები.

წელს მათ შექმნეს ოთხი სახის საპრანგე და სამი სახის საკაბე ქსოველები, რომლებიც მიიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოსთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ.

ამ დღეებში გორელმა ფეიქრებმა სასახარულო ამბავი შეიტყეს — მათ მიერ შექმნილი საბავშვო საკაბე არტ. 486 და მამაკაცის საპრანგე „ციაკარი“ მოსკოვში, ხაკაროოო გამოფენაზე, მიღებულ იქნა მსაბრივად დანეგვილისათვის.

ამჟამად გორელი დესანტორები მუშაობენ ახალი სტრუქტურის მამაკაცის საპრანგე, ბავშვის საპრანგე და საკაბე ქსოველების შექმნაზე.

ალ. ტაბატაძე.

ბეგმები გაასანდეს

დაბა ვანის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა უკვე გამოუშვა 2 მილიონ 102 ათასი პირობითი ქილა კონსერვი და ამით წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. შრომის ნაყოფიერება წარმოებაში ამაღლდა 1,6 პროცენტით.

ცვლები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინერი თ. ავალიანი და ლ. მამფორია ხელმძღვანელობენ კარგადხანია პროდუქციას 1964 წლის ანგარიშში უმეგზენ.

დაბა მაიაკოვსკის საკონსერვო ქარხანამ 1.130.000 პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვა და წლიური გეგმა 113 პროცენტით შეასრულა.

ბ. მეძავანაძე.

მეორე ადგილზე

ცხაკაიას კომბინირებულმა ჩაის ფაბრიკამ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონი წარმატებით დაამთავრა. მიიღო და გადამუშავა 2.246 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გათვალისწინებული 2.021 ტონისა.

მარტო პროდუქციის ხარისხია გაუმჯობესებით ფაბრიკამ 170 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო, ხოლო თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 126 ათასი მანეთი.

ფაბრიკის კოლექტივმა მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით კვების მრეწველობის საწარმოთა შორის მეორე ადგილი დაიკავა და ფულადი ჯილდო მოიპოვა.

ლ. ხოფერია.

ხვავი, ბარაქა

წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში შემავალი თელეთის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა. აგროტექნიკური ღონისძიებების ზუსტად განხორციელების შედეგად საშუალოდ ჰექტარზე 45 ცენტნერზე მეტი სიმინდი მიიღო.

* * *

სურათზე: სიმინდის ხვავი თელეთის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

გენერალი ა. ხ. ნასუტიონი

კიევი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც კიევში იმყოფება, მიიღო საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი გენერალი ა. ხ. ნასუტიონი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა გენერალ ნასუტიონის პატივსაცემად.

ლ. ი. ბრეჟნევი ირანში

თეირანი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს გამოჩენილი ირანელი ექიმისა და ქიმიკოსის რაზის სახელობის ვაქცინისა და შრატის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც 48 კილომეტრით დამორეულია თეირანს.

რაზის სახელობის ინსტიტუტი 1930 წელს შეიქმნა და ამჟამად ირანის ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც ეწევიან მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ვეტერინარიის დარგში.

შესასვლელში ლ. ი. ბრეჟნევსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ფარაჰი, ინსტიტუტის პროფესორები და სტუდენტები. ფარაჰი მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმარს, და განაცხადა: ამჟამად, როცა არნახული გაქანებით განვითარდა მეცნიერება და ტექნიკა, აუცილებელია, რომ როგორც დიდი, ისე მცირე სახელმწიფოების ხალხები თანამშრომლობდნენ მთელი კაცობრიობის სიკეთისა და ბედნიერებისათვის.

ფარაჰიმ გააცნო საბჭოთა სტუმრებს ინსტიტუტის საქმიანობა.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ფარაჰისა და ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს გულთბილი შეხვედრისათვის. მოხარული ვარო, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ირანში ჩვენი ყოფნის პროგრამით გათვალისწინებული იყო ამ ინსტიტუტის დათვალიერება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონტაქტები საბჭოთა კავშირისა და ირანის მეცნიერთა შორის ხელს შეუწყობენ ორი სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა შემდგომი წარმატებები უსურვა ინსტიტუტს ყველა თანამშრომელს ბათს მუშაობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხელი მოაწერა ინსტიტუტის საპატიო სტუმართა წიგნში.

შემდეგ სსრ კავშირიდან ჩასულმა სტუმრებმა დათვალიერეს თეირანის მახლობლად მდებარე კერჯის კაშხალი და ჰიდროელექტროსადგური.

დათვალიერების დროს ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ელექტროსადგურის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მუშებს.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა სტუმრები იყვნენ თეირანის ისტორიულ მუზეუმში, ინტერესით დათვალიერეს მუზეუმის უნიკალური ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ირანის უძველესი კულტურის ისტორიას.

დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მეუღლე ვ. პ. ბრეჟნევა ეწვია თეირანის აშრაფ ფეჰლევის სახელობის მედიცინის დების სკოლას, აგრეთვე ფარაჰ ფეჰლევის სახელობის სახელოსნო სასწავლებელს, სადაც ბავშვები, რომლებმაც მშობლები დაკარგეს, სხვადასხვა სპეციალობას იძენენ.

ისპაანი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ირანში და მისი თანმხლები პირები, დღეს თეირანიდან ირანის უძველეს ქალაქ ისპაანში ჩავიდნენ.

თეირანი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი თეირანს დაბრუნდნენ ისპაანში მოგზაურობიდან.

საბჭოთა სტუმრები უნგრეთში

ბუდაპეშტი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მეჟავანაძის მეთაურობით მოგზაურობს უნგრეთში. ამ მოგზაურობის დროს მან ახლავე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კაროი ნემეტი. გუშინ დელეგაციის წევრები სტუმრად იყვნენ დიერ-შოპრონის ოლქის მშრომელებთან. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფერენც ლობმაშმა საბჭოთა სტუმრებს გააცნო ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. შემდეგ საბჭოთა სტუმრები იყვნენ დიერის სავაგონო-მანქანათაშენებელ ქარხანაში, რომლის პროდუქცია კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

დღეს დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს რაბაჩანაკის სასოფლო სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი და ფერტედის საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგური.

საზეიმო კრება თბილისში

19 ნოემბერს საბჭოთა არმიის ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლში გაიმართა თბილისის მშრომელთა საქალაქო სახე-მო კრება სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხალხის ტრადიციულ დღესასწაულ — არტილერიის დღეს.

პრეზიდიუმში არიან **ო. დ. გოცირიძე, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუიძე,** ჯარის სახეობათა წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ. ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა ამბანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება არტილერიის დღის შესახებ გააკეთა პოლკოვნიკმა **გ. ნ. გრინოვმა.** მან ილაპარაკა საბჭოთა არტილერიის სახელოვანი საბრძოლო გზის, მებრძოლი — არტილერისტების გმირულ გამჯდომარეობა შეესახებ დიდი სამამულო ომის წლებში, ომამდე, თუ რა დაბეჯითებით სწავლობენ ისინი ომისშემდგომ წლებში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის პასუხად, — ამბობს მომხსენებელი, — საბჭოთა არტილერისტები ძალღონეს და ცოდნას არ დაიშურებენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერებისათვის. (საკდესი).

საბჭოთა ოლქის მშრომელთა ინიციატივა

ყოფილ ოლქებს ეხებოდა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურბაზის ოლქის ბაზა-ინტერნატ „ბაკურიანის“ ოლქის ბაზა-ინტერნატ „ბაკურიანის“ ოლქის ბაზა-ინტერნატ „ბაკურიანის“

პარტიული ცხოვრება

ლენინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

წარმოება — მთავარი ფრონტი

ალექსანოვის სახელობის კულტურის სახლში, სადაც თბილისის ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის 39-ე კონფერენცია იყო მოწვეული, ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილ დელეგატებს საქმიანი საუბარი გაემართათ. ისინი ლაპარაკობდნენ რაიონის მრეწველობის წარმატებებზე, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც დაბრკოლებას ქმნიან წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში.

— რიტმულ და გამართულ მუშაობაში ხელს გვიშლის ცუდი მომარაგება მასალებითა და დეტალებით, — ამბობდნენ ისინი. წარმატების სული და გული მაღალკვალიფიციური მუშები. ამ მხრივ ბევრ საწარმოში ცუდი მდგომარეობაა. ყოველწლიურად რამდენ კაცსაც ვიღებთ, იმაზე მეტი მდის; როგორ შეიძლება ასეთ პირობებში მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება! სამართლიანად გვისაყვედურებენ პროდუქციის ცუდი ხარისხის გამოც, — გულმართლად აცხადებდნენ დელეგატები.

საუბრის თემა ძირითადად წარმოების საკითხები იყო. ეს ბუნებრივიც არის, რადგან რაიონი წარმოადგენს ქალაქის მრეწველობის გულს.

საქმიანი საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ დილის ათი საათი შესრულდა, კონფერენციამ მუშაობა დაიწყო. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ბაუთიძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ პარტიული ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობის შედეგად რაიონის მშრომელებმა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, კულტურისა და განათლების ფრონტზე, პარტიულ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს.

რაიონის საწარმოო კოლექტივებმა მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,1 პროცენტი აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება მილიონ 554 ათასი მანეთით შეამცირეს. საერთოდ, შვიდწლედის განვლილ პერიოდში პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 53 პროცენტით ნაცვლად შვიდწლედით გათვალისწინებული 51 პროცენტისა.

ეს წარმატებები განაპირობა იმან, რომ პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციისათვის. მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში დადგმულია 100-ზე მეტი ახალი და მოდერნიზებული, მაღალი წარმადობის ჩარხი, მწყობრში ჩადგა 180 ნახევრადავტომატური ნაკადური და კონვეიერული ხაზი.

რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა წარმოებაში დანერგეს 2.787 წინადადება, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ტექნიკური პროგრესის საქმეში და წარმოების კულტურის ამაღლებაში. განსორციელებულმა წინადადებებმა საწარმოებს მილიონ 230 ათასი მანეთი დაუზოგა.

ეს წარმატებები იმის შედეგიც არის, რომ რაიონის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. ეს მაღალი წოდება მოიპოვა 412 ბრიგადამ, 283 საამქრომ, უბანმა და ცეხმა, დამკვრელის წოდებას ატარებს 1.225 მუშა. კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება ღირსეულად დაიმსახურეს ჩაის საწონმა ფაბრიკამ და შამპანური ღვინის ქარხანამ.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რაიონში მრავალი სამრეწველო საწარმოა, სადაც ათეული ათასობით ადამიანი შრომობს, კომუნისტური შრომის მოძრაობის წარმატებანი საკმარისი არ არის. რაიონული კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს გარემოება და მეტი ყურადღება დაუთმოს კომუნისტური შრომის კოლექტივების მოძრაობის შემდგომ გაფართოებას; დაუცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მოწინავე კოლექტივების დონეზე ავიყვანოთ თვითეული საწარმოს საერთო მაჩვენებელი.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა წარმატების აღნიშვნასთან ერთად მიუთითებლად ამხილეს ნაკლოვანებები, აუენებდნენ საყურადღებო წინადადებებს მათ გამოსასწორებლად. იმის გამო, რომ საწარმოები რეგულარულად არ მარაგდებიან მასალებითა და დეტალებით, თუჯისა და ფოლადის სხმულით, ადგილი აქვს იერიშობანას. ეს კი იწვევს წუნს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას. 1962 წელს და მიმდინარე წლის ათ თვეში მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანისა და წუნის გამოშვების შედეგად რაიონში ზარალმა მიაღწია 42 ათას მანეთს გადააჭარბა. ამ მხრივ კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი. ამ საწარმოს მიერ ცუდი ხარისხის სხმულების გამოშვების გამო ხელი ეშლებათ სხვა საწარმოებს.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ჩამორჩენილი საწარმოები. წინდების ფაბრიკას წელს გეგმა 38 პროცენტით გაუდიდეს, მაგრამ საწარმოში არ განხორციელეს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები და ამის შედეგად ვერ შეასრულეს გადიდებული საწარმოო დავალება. ჩამორჩა ელექტროტექნიკური ქარხანაც. აქ ათი თვის გეგმის შესრულებამ 95 პროცენტს ძლივს მიაღწია.

კონფერენციაზე სამართლიანი საყვედურები გაისმოდა სამშენებლო ორგანიზაციების, კერძოდ, თბილმრეწმშენისა და მისი სამმართველოების მიმართ. დელეგატებს მოჰყავდათ მშენებლობის შეუწყნარებელი გაჭიანურების, გეგმების შეუსრულებლობის მაგალითები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა წარმართეს პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ძირითადი ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებისათვის. ამ ძირითადი ამოცანის წარმატებით განხორციელების სასსახურშია ჩაყენებული საგიტაციო და პროპაგანდისტული საქმიანობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები.

ელმავალსამშენებლო და ჩარხსამშენებლო ქარხნების პარტიული კომიტეტების მდივნებმა პ. გურულმა და ხ. მიქაძემ ილაპარაკეს პარტიულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და დააყენეს მთელი რიგი საკითხები პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კონფერენციაზე ყველა ორატორი ხაზს უსვამდა იმას, რომ საანგარიშო პერიოდში რაიონში დიდი მუშაობა გაწეული კომუნალური, სახიანთო და საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისათვის. მაგრამ აქვე აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. რაიონში არსებული საბავშვო ბაღები და ბაგები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სკოლა, სადაც სწავლა ორ და სამ ცვლად წარმოებს.

— საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მასების როლი ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საწარმოოთა და დაწესებულებათა 4.700 მუშაკი აქტიურად მონაწილეობს ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებში, — განაცხადა თავის გამოსვლაში პარტიულ სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. მგელაძემ. ეს მრავალრიცხოვანი არმია აქტიურად იბრძვის ნედლეულისა და მასალების უყაირათო ხარჯვის, გაფლანგვა-დაკაცებისა და ზომა-წონაში მოტყუების წინააღმდეგ.

კონფერენციაზე ორატორებმა ილაპარაკეს უქნარობაზე, მომხვეპელობის, მექრთამეობისა და სხვა დანაშაულობათა აღმოფხვრის აუცილებლობაზე. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა რაიონის პროკურორმა ს. ნანიტაშვილმა.

როგორც მომხსენებელმა, ასევე მოკამათეებმა ილაპარაკეს მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და წარმოებაში დანერგვის შესახებ. თბილისელმა ელმავალმშენებლებმა თავიანთი ნოვატორკასელი თანამოსაქმეებისაგან გადმოიღეს და დანერგეს განუწყვეტელი დაგეგმვის მეთოდი, რის შედეგადაც მიმდინარე წელს წარმოება რიტმულად მუშაობს, შემცირდა მოცდენები, შესაძლებელი გახდა ყოველდღიური მუშაობის შედეგების შეჯამება და ნაკლოვანებების დროულად გამოსწორება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს ეს სიახლე მოიწონა და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა მუშაობის აღნიშნული პროგრესული მეთოდი სხვა წარმოებებშიც დანერგონ. მაგრამ რაიონულმა პარტიულმა კომიტეტმა დღემდე ვერ მოახერხა ამ მეთოდით მუშაობის სხვა საწარმოებში დანერგვა.

საინტერესო საკითხები იყო დაყენებული რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბ. ჯანჯღავას და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთავარი ინჟინერის ა. გოგიჩას გამოსვლებში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ბ. გეგეშიძემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. დოლიძემ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. დ. მამაცაშვილმა.

ზ. ჯამასკიშვილი.

სასუქი და დანაშაული

> □ მიწა სასუქს ითხოვს... სასუქი კი წყალს მოითხოვს.
> □ მინერალური სასუქი — ყარ ფოფოხით.
> □ უსარგებლო სასუქი — ჟუთაისელებს.

რიონის ხეობაში მიწყდა ავტომანქანების ხმაური. არც სიმინდითა და ყურძნით დატვირთული ურმების ჭრიალი ისმის. ამბროლაურელმა კოლმეურნეებმა უკვე დაბინავეს მოსავალი. ცუდმა კლიმატურმა პირობებმა დიდი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო წარმოებაზე. ღვინის ქარხნებმა ვერ მიიღეს იმდენი ყურძენი, რაც გეგმით იყო ნავარაუდევი. სიმინდის მოსავალმაც იკლო. კოლმეურნეობები ვალში დარჩნენ სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ განა ყველა? არა. ზოგიერთი კოლმეურნეობის ვენახმა და სიმინდის ყანამ გაუტოლა ბუნების კაპრიზებს, და წინანდელებურად მაღალი მოსავალი მიიღეს. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის წესის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე რ. ნატმელაძე). აქაური მევენახეები ერთი წუთითაც არ შორდებოდნენ ვაზს, თვალისჩინეიით უვლიდნენ, მინერალური სასუქებით გამოკვებეს ნიადაგი. კოლმეურნეებმა გონივრულად გამოიყენეს ნიადაგის განყოფიერების ისეთი საშუალებები, როგორიც არის მდინარისა და ნაკადულების შლამი. ზურეებში უხვად შეიტანეს ორგანული სასუქი — ნაკელი. ამით უნდა ავხსნათ ის, რომ ეწლს თვითეულ ჰექტარზე აქ ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღეს.

მინერალური, განსაკუთრებით კი ორგანული სასუქების გონივრული გამოყენებით სახელი გაითქვეს **ბიდიკერელმა** კოლმეურნეებმა. აქაურმა მევენახეებმა და მხვნელ-მთესველებმა წელს ყურძნისა და მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეობამ მოკარიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 257 ტონა ყურძენი. ბევრი კარგია თქმა შეიძლება აგრეთვე **ხვანჭკარის, მთის კალთის, ხოტევის** და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებზე, რომლებმაც თესვის წინ და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების პეროდში ნიადაგში საკმაო რაოდენობით შეიტანეს სასუქები.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასუქებს ყველგან ორდი იყენებენ გონივრულად და რაციონალურად. რეიდის მონაწილეებმა სასუქებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების მრავალი ფაქტი გამოაელინეს.

ოლუდის მესაქონლეობის ფერმაში ვართ. კოკისპირულად წვიმს. ეს ფერმა მდინარე შაორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. აქ 221 მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ. ფერმაში დიდძალი ნაკელია. კოლმეურნეობა თუ გონიერულად გამოიყენებს მოსავლიანობის გადიდების ამ დიდმნიშვნელოვან რეზერვს, ცხადია, მოსავალსაც კარგს მიიღებს. მაგრამ ასე არ არის, ფერმის ბრიგადირს **ლუკა ქემოკლიძეს** გამოვესაუბრეთ.

— სად გაქვთ სანაკელე?

— აქ, ფერმის ბოლოში. ნაკელის საცავი ვერ აგვიშენეს. შარშან ორმო გავაკეთინო. მაგრამ მის დაბეტონებაზე ხელმძღვანელობდა თავმჯდომარემ კ. **ბიჭინაძემ** არ იზრუნა. გვეკრძალება ცემენტი, ქვა და რელსები. მაგრამ თავს ირავენ **იწუხებს.**

ალმაშფოთებელ ფაქტს წავაწყდით **ნიკორწმინდის** კოლმეურნეობაში. ფერმის გვერდით ცამი მეტრი სიმაღლის ნაკელის გორა დგას. როგორც ფერმის გამგემ **ბ. კობახიძემ** განაცხადა, ორგანული სასუქის ეს მაგი მთა ათი წლის წინათ წარმოიშვა და ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება და იზრდება. სარაონთაშორისო გაზეთმა „კომუნიზმის დროშამ“ ამას წინათ მკაცრად გააკრიტიკა ნიკორწმინდის კოლმეურნეობის გამგეობა ნაკელის გატანის საქმეში სავალალო მდგომარეობის გამო, მაგრამ რა გამოვიდა — შეაყარე კეფელს ცერცვი!..

ძირაგეულის კოლმეურნეობას შესანიშნავი ფერმა აქვს. საკვების მიწოდება და ნაკელის გამოზიდვა აქ მექანიზებულია. ფერმაში მშრომელი და გამრჯე ადამიანები მუშაობენ. ყოველგვე ეს კარგია. ცუდი ის არის, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. არჩაიძემ** რატომღაც თავი ვერ მოაბა ნაკელსაცავის მოწყობას. ამიტომ არის, რომ აქ ორგანული სასუქი ნიადგება. აქაც ფერმის გვერდით ორგანული სასუქის გორა დადგა. შეფერხდა ნორმალური მუშაობა, ფერმიდან ნაკელის გამოზიდვა. საჭირო იყო ნაკელი მინდვრად, სამინდის ყანებში და ზურეებში გაეტანათ, მაგრამ ასე არ გააკეთეს. თავმჯდომარის ბრძანებით ორგანული სასუქის ბოლო ბოლოზერი მიუყენეს და მოასწორეს. ნაკელი გაიფანტა, იგი წყალმა და ქარმა წაიღო. ასე დაიკარგა მოსავლიანობის გადიდების რეზერვი.

ორგანულ სასუქებს ბარბაროსულად ანიავებენ აგრეთვე **თხმორის, ნიგზნარის, ღადაშის, წკადისის,** ცახის, **საკაოს, შემერის** და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. თხმორის კოლმეურნეობამ წელს ძალიანად ჩაბალა ნაკელის გატანის გეგმა, ნიგზნარის კოლმეურნეობამ კი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 417 ტონისა გაიტანა 35 ტონა ნაკელი. სწორედ ამითაც უნდა აიხსნას, რომ კოლმეურნეობაში წელს სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 6,5 ცენტნერი იყო, ხორბლისა კი — 3,3 ცენტნერი. ამბროლაურის რაიონში წელს 50.660 ტონა ორგანული სასუქი უნდა დამზადებულიყო. ეს დავალება მხოლოდ 58 პროცენტით შესრულდა.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ამბროლაურელ კოლმეურნეობები ცუდად მარაგდებიან მინერალური სასუქებით. ამბროლაურის საწარმოო სამმართველოს სქელტანიან საქმეში ჩვენ ვნახეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიმართვა, რომლითაც შეეტყეთ, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში სამმართველოს გამოეყო 714 ტონა მინერალური სასუქი.

სამმართველომ თავის მხრივ სასუქები რაიონებს გაუგზავნა. ამბროლაურის კოლმეურნეობებს 175 ტონა აზოტოვანი, 200 ტონა ფოსფოროვანი და 84 ტონა კალიუმის მარილის სასუქები ხვდათ. მინერალური სასუქების კი რაოდენობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობათა მოთხოვნილებებს. აქაური ვენახის თვითეულ ჰექტარს ფაქტიურად ხვდა 1,9 ცენტნერი აზოტი, მეცნიერულად დასტურებული ნორმის მიხედვით კი საჭიროა სამჯერ მეტი.

ხავალალო ის არის, რომ გამოყოფილი მინერალური სასუქები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. „საკასოფლტექნიკის“ ქუთაისის ბაზამ ამბროლაურის რაიონს მხოლოდ 155 ტონა აზოტოვანი, 70 ტონა ფოსფოროვანი და 39 ტონა კალიუმის მარილის სასუქები მიცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისისდან წამოღებულ მეტ წილ სასუქებს მთლიანად დაკარგული ჰქონდა ხარისხი. მაგალითად, **ჭყვიშის** კოლმეურნეობამ ქუთაისიდან მიიღო მიწაზე ნაყარი, წვიმით დასველებული ფოსფოროვანი სასუქი, რომელიც გადატანის დროს მანქანის ძარაში თხევად ნივთიერებად იქცა **და** მთლიანად დაიღვარა გზაში.

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგჯერ სასუქებს დიდი დაგვიანებით გამოაყოფენ. წელს მინერალური სასუქების ათვისების უკანასკნელ ვადად დადგენილი იყო 20 ივლისი. კოლმეურნეობებს კი სასუქები სამეურნეო წლის პირველ კვარტალში უფრო სჭირდებათ.

ამბროლაურელთა პრეტენზიები ნამდვილად უფუძველია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ რაჭის მთიანი ნიადაგი მეტისმეტად მწირია და მას მინერალური სასუქებით მკურნალობა სჭირდება.

გაზეთ „კომუნისტის“ სოფლკორთა რეიდის მონაწილენი: შ. ენუქიძე — აგრონომი, ვ. ძმამაკლიძე — ვეტფერშალი, ს. ბიბინაძე — სასოფლო საბჭოს დეპუტატი, ბ. მეგზერიშვილი და ვ. ბურაბანიძე — მწყემსები, ვ. ცირიკიძე — „კრმენისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რედაქციისაგან: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ადგილებზე აწყობს მასობრივ რეიდებს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იყენებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მინერალურ და ორგანულ სასუქებს უხვი მოსავლის მისაღებად.

გაზეთის 15 და 16 ნოემბრის ნომრებში დაიბეჭდა მასობრივი რეიდის პირველი წერილები. დღეს ვაქვეყნებთ მესამე წერილს „სასუქი და დანაშაული“, რომელშიც მხილებულია მთელი რიგი ალმაშფოთებელი ფაქტები ამბროლაურის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში.

რედაქცია მოელის, რომ წერილებში აღნიშნულ ფაქტებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდებიან საწარმოო სამმართველოები და პარტიული კომიტეტები, დროულად აცნობებენ რედაქციას, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა რეიდის შემდეგ მოსავლის სიუხვის რეზერვების ასამოქმედებლად. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესასრულებლად.

გგა ადამიანის გულისკენ

> „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ
>
> „თაღლითები და მომხვეჭელები მახეში“

> „თაღლითები და მომხვეჭელები მახეში“ ასუხად გაცნობებთ, რომ გორის სასოფლო საწარმოო პარტიული კომიტეტის ბიურომ განიხილა გაზეთში გამოქვეყნებული მასალა და რაიკოოპკავშირი ჩატარებული დოკუმენტური რევიზიის შედეგები, გამოაშკარავა რა რაიკოოპკავშირის სისტემაში ვაპირობის წესების უხეში დარღვევების და დამახინჯების ფაქტები, ბიურომ მკაცრად დასაჯა რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელები. რაიკოოპკავშირის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს ვ. რთველიაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღერიცხვო ბარათში შეტანით. ვაპრობის განყოფილების გამგეს ვ. ბეთლემიძეს (ამჟამად რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე) საყვედური საღერიცხვო ბარათში შეტანით. სამუშაოდან მოეხსნა და პარტიული სასჯელი დაადო სოფლის კოოპერატივების თავმჯდომარეებს ბ. ჩიხლაძეს, ბ. ვაბრდიევს, ი. მათეშვილს და ა. მაღალაშვილს, რაიმადაზიის დირექტორს ი. ინაშურს. რაიონის პროკურატურას და რაისაბჭოს აღმასკომის სათანადო კომისიას დაევალათ შეისწავლონ ვაპრობის მუშაკთა საცხოვრებელი პირნების აშენების და მათ მფლობელობაში მყოფი მსუბუქი ავტომანქანების შეძენის საკითხი და შედეგი მოახსენონ პარტიულ კომიტეტს შემდგომი ღონისძიებების გატარებისათვის.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი რაიკოოპკავშირის სისტემაში მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

წერილი არ დაგეჭდილა მაგრამ...

ხაშურიდან გამოგზავნილ წერილში სოფლკორები გვწერდნენ, სოფელ ტეზერში გზის კეთილმოწყობის საშუშაოები მიტოვებულიაო. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად რედაქციამ ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. აღმასკომის თავმჯდომარე ი. **გოგოლაძე** გვატყობინებს:

გაცნობებთ, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერში მცხოვრებთა წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით **დადასტურდა.**

ამ სოფელში ქვაფენილის დაგება აღნიშნულ გზაზე დაიწყეს 1962 წელს. დღემდე დაგებულია 500 მეტრის სიგრძეზე, დარჩენილია 300 მეტრი. ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობას გათვალისწინებული აქვს აღნიშნული გზის შენებლობა დაამთავროს მიმდინარე წლის ბოლომდე, რისთვისაც გამოყოფილია საჭირო თანხები.

„კომუნისტი“
მე-2 გვერდი, ოთხშაბათი,
20 ნოემბერი, 1963 წ.

გეოგრაფთა ფორუმი

გუშინ თბილისში, შვიდი დღის მუშაობის შემდეგ, მუშაობა დაამთავრა გეოგრაფთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც მიძღვნილი იყო კავკასიის პალეოგეოგრაფიისა და გეომორფოლოგიის საკითხებისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, შუა აზიის, ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკების, ჩრდილოეთ კავკასიის გეოგრაფიისა და გეოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლები, ცნობილი გეოგრაფები და გეოლოგები.

თათბირზე დაწერილებით გაშუქდა ის საკითხები, თუ როგორ შეიცვალა მილიონობით წლების მანძილზე კავკასიის გეოგრაფია, ჰავა, ნიადაგ საფარი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, რელიეფი, როგორია ზღვის სანაპიროთა განვითარების კანონზომიერებანი, რა ხასიათი ჰქონდა გამყინვარების კავკასიაში და სხვ. იმსჯელეს კავკასიის შესახებ კომპლექსური გეოგრაფიული გამოკვლევების სახალხო მეურნეობაში გამოყენების საკითხებზე.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები ნეოტექტონიკის (მიწის ქერქის უახლესი მოძრაობა) პრობლემებზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასარგებლო წიაღისეულის ძიების სწორად წარმართვისათვის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და რკინიგზათა მშენებლობისათვის.

კავკასიის რელიეფისა და ლანდშაფტების განვითარების, მავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზების ლანდშაფტების განვითარების, ბალტიკისა და ჩრდილოეთ ზღვის აუზების დონის ცვლილებების, მათი ურთიერთკავშირის საკითხებზე მსმენელების წინაშე მოხსენებით წარსდგნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. მარუაშვილი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. დუმიტრაშკო, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ფეოდოროვი, პროფესორი ი. საფრონოვი და სხვ.

კავკასიის გამყინვარების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში დოკენტმა დ. წერეთელმა, ხარკოვის უნივერსიტეტის დოკენტმა პ. კოვალიო

საერთაშორისო
დეკემბრის სწორედ ეიფოსლიკა
ცხოვრება

საბჭოთა ხელოვნება გვიატყვევებს

პარიზი, 19 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სისოევა იუწყება:

მუსიკის, ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ფრანგი მოყვარულნი ერთსულოვნად აღიარებენ საბჭოთა მსახიობებისა და მუსიკოსების ბრწყინვალე ოსტატობას.

ოთხმა საბჭოთა მევიოლინემ ოცდარვიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსში, მოიპოვა ოთხი პირველი პრემია, წერს გაზეთი „მონდი". და შევგვიძია მხოლოდ დავეთანხმოთ ჟიურის აზრს, რადგან ფინალის ორი სხვა მონაწილე — ორი ფრანგი უფრო სუსტი იყო. გაზეთ „მონდის" მუსიკალური კრიტიკოსი აღნიშნავს საბჭოთა მევიოლინეების მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას.

რუსებმა მევიოლინეთა კონკურსზე გამოგზავნეს ოთხი კანდიდატი და მოიპოვეს ოთხი პირველი ადგილი, წერს გაზეთი „პარი-პრეს-ენტერანსიჟანი", თერთმეტ ფრანგ კანდიდატში მხოლოდ ორმა შეძლო მეხუთე და მეექვსე პრემიის მიღება. ეს უდავოდ მოწმობს საბჭოთა მევიოლინეების სკოლის უპირატესობას.

იგივე გაზეთი აღნერს პიანისტ სვიატოსლავ რიხტერის კონცერტს ქალაქ ტურში. „რიხტერმა აიძულა მთელი მუსიკალური პარიზი, — წერს იგი, — გადაეცვლა სახელოვან ქალაქ ტურში. „რიხტერი ტურში" — ამ მშვენიერი სათაურით დაბეჭდილმა აფიშამ გაამართალა პარიზელ მელომანთა სახიადოგნო მოგზაურობა", გაზეთი აღნიშნავს, რომ პიანისტმა დიდებულად შეასრულა ბეთჰოვენის ნაწარმოებნი, შეტანილი კონცერტის „შესანიშნავ და რთულ პროგრამაში".

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ტურში ჩავიდნენ მუსიკის მოყვარულნი არა მარტო პარიზიდან, არამედ ავრეთვე მთელი საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და ბელგიიდან.

უკანასკნელი ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს უდიდესი მოვლენაა ტურისათვის, წერს იგი, რამდენადაც მას შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ფერენც ლისტის კონცერტი ტურში 1841 წლის 28 მაისს.

დიდი წარმატებით გამოდიან საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები ბ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. „ერთ-ერთი უველაზე მშვენიერი სანახაობა მსოფლიოში", — ასე ახასიათებს ამ გამოსვლებს გაზეთი „ლუმანიტე". „ყველაფერი უკვე ითქვა და დაიწერა ამ უნიკალური ანსამბლის არაჩვეულებრივი ერთიანობის, დისციპლინიანობის, მოქნილობისა და ძალის შესახებ", წერს გაზეთი. „რა ცეკვებია! რა თავბრუდამხვევი დემონსტრაციაა აკრობატული და საბალეტო ხელოვნებისა!"

პირველი ვიზიტის წინ

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). შემთხვევითი როდია, რომ თავდაპირველად პარიზში მივემგზავრები, განაცხადა საფრანგეთის ბურჟუაზიულ გაზეთ „ფიგაროს" კორესპონდენტთან ინტერვიუში ლუდვიგ ერჰარდმა, რომელიც პირველად მიემგზავრება საზღვარგარეთ, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი.

ერჰარდმა განმარტა, რომ მისი ვიზიტის მიზანია ცხადყოს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის „შეგობრობასა და შერიგებას". მან აღიარა ამავე დროს, რომ ამ ორი ქვეყნის ჩამორჩენის შორის არის უთანხმოებანი, „არის გარკვეული საკითხები, რომლებშიც ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სრული თანხმობა". ერჰარდი ამტკიცებდა, რომ დასავლეთმა ევროპამ უნდა იპოვოს თავისი „უფრო მკაფიო გამოსახულება საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების ბაზაზე და განმტკიცებული საერთო ბაზრის ფარგლებში".

შეეხო რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის საკითხს, დასავლეთ გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი გაგრძელდეს მოლაპარაკება მსოფლიოს უდიდეს ახალმეწიფოებს — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

კანცლერმა თქვა, რომ დასავლეთ გერმანიის ახლანდელ მთავრობას არ სურს „უძრავად დარჩეს" და უკვე გახსნა თავისი საგვიჩო წარმომადგენლობა პოლონეთში და აპირებს მალე ასეთივე მისიები გაგზავნოს რუმინეთსა და უნრეთში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ცალკე შეეხო დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის უახლოესი მომავლის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნა, იმედი მაქვს კიდევ უფრო „განვამტკიცებთ ნდობასო". „ჩვენ ურთიერთობა ერთიანად ვერ გახდება ისეთი, როგორიც იყო ბონ ადენაუერსა და პრეზიდენტ დე გოლს შორის... მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ურთიერთობა იმავე მიმართულებით განვითარდება".

ადგილების განაწილება საბერძნეთის პარლამენტში

ათენი, 19 ნოემბერი. (საკდესი). საბჭედრო მოსამსახურეთა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ხმების დათვლის შედეგებმა ცვლილება შეიტანა დეპუტატთა ადგილების საბოლოო განაწილებაში პარტიებს შორის. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ახლა პარლამენტში ცენტრის კავშირს ჰყავს 138 დეპუტატი, ეროვნულ რადიკალურ კავშირს — 132, ერთიანან დემოკრატიულ მემარცხენე პარტიას — 28 და პროგრესისტებს — 2 დეპუტატი.

ოტტავაში სამარცხვინო ლაქა

ბონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ბონის უფროსმა პროკურორმა ბუნდესტაგის განსახილველად შეიტანა წინადადება ჩამოერთვას საპარლამენტო ხელშეუხებლობა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარეს, ბუნდესტაგის დეპუტატს ფრანც-იოზეფ შტრაუსს. დპას საადგილოს ცნობით, წინადადების დასაბუთებითს ნაწილში აღნიშნულია, რომ საკითხი, არის თუ არა ჟურნალ „შპიგელის" მთავარი რედაქტორის მოადგილის ალერსის დაპატიმრებასთან დაკავშირებით საფუძველი „ბრალად დაედოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს დასაკადი ქმედობანი", შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შტრაუსს ჩამოერთმევა საპარლამენტო ხელშეუხებლობა.

საკდესის კომენტატორი **ვ. ვინოგრადოვი** ამის გამო წერს:

წელიწადზე მეტია ბონის გავლენიანი წრეები მზრუნველობით იფარავდნენ ჰამბურგის ჟურნალ „შპიგელის" მმართველ სამარცხვინო პოლიციური ძალადობის მთავარ დამნაშავეს. სწორედ ყოფილი თავდაცვის მინისტრი შტრაუსი ასრულებდა ხელმძღვანელ როლს ჟურნალის რედაქციის თანამშრომელთა ბინებზე ჩატარებულ ბინაძებაში, ამმომიმილ ავიატაინის, მთავარ რედაქტორის [illegible] ... პატიმრებაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში დიდი აღშფოთება ბონის მესვეურთა ცდამ გასწორებოდნენ არასასურველ ჟურნალისტებს. მაგრამ შტრაუსის მფარველებმა ფარად გამოიყენეს მისი საპარლამენტო იმუნიტეტი, რომელიც არ იძლევა საშუალებას დაიწყოს იმ საჩივრების გამოძიება, რომლებიც აღძრულია მის წინააღმდეგ ჟურნალ „შპიგელის" საქმის გამო.

და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ბონის უფროსმა პროკურორმა შეიტანა, როგორც იქნა, ბუნდესტაგის განსახილველად წინადადება ჩამოერთვას შტრაუსს საპარლამენტო ხელშეუხებლობა. ბონში იძულებული ვახდენ გადაადგილ ეს ნაბიჯი უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრიობის ზეგავლენით, რომელიც სულ უფრო დაფიქებით მოითხოვს პასუხისგებაში მისცენ ჟურნალისტების მიმართ სამარცხვინო ძალადობის მთავარი დამნაშავე. ბონის პროკურატურაში, კარლსრუეს ფედერალური პროკურატურის ორგანოებში შემოვიდა, როგორც პრესა იუწყება, ათი ოფიციალური მოთხოვნა, რომ დაიწყოს სასამართლო ძიება შტრაუსის წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ლანდტაგში მხარის მთავრობას მიმართა სპეციალური შეკითხვით, „ვინ აჭიანურებს ბუნდესტაგის დეპუტატის შტრაუსის იმუნიტეტის გაუქმებას".

შესუსტდა გავლენიანი წრეების მხარდაჭერა შტრაუსისადმი, რაც გამოწვეულია იმით, რომ, როგორც დპას საადგენტო აღნიშნავს, ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარის პოზიცია ამჟამად მთელ რიგ საკითხებში „ეწინააღმდეგება ფედერალური მთავრობისა და კოალიციური პარტიების პოლიტიკას". ბონის ავტორიტეტულ პოლიტიკურ წრეებში, ხაზგასმით აღნიშნავს დპა, „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად „მიიჩნევს ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარის განზრახვა მოეთხოვა ახალი ფედერალური მთავრობის შექმნა.

მაგრამ ბონში, მიუხედავად შინაური კინკლაობისა, ცდილობენ თავიდან აიცილონ ახალი სასკანდალო მხილებანი. ამ მიზნით ბონის ხელისუფალნი იჩქარიან წინასწარ გაამართლონ პოლიციის მოქმედება, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში ღამით მოახდინა თავდასხმა ჟურნალ „შპიგელის" გამომცემლობასა და რედაქციაზე.

ოპოზიცია იმარჯვებს

ანკარა, 19 ნოემბერი. (საკდესი). თუმცა საბოლოო შედეგები ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებისა, რომელიც 17 ნოემბერს მიმდინარეობდა თურქეთში, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს ძირითადი ოპოზიციური პარტიის — „სამართლიანობის პარტიის" კანდიდატების გამარჯვებას. უკანასკნელი მონაცემებით, ამ პარტიამ „გაიმარჯვა 67-დან 40 ვილაიეთში, მაშინ როცა ბირითადმა მმართველმა პარტიამ (სახალხო-რესპუბლიკურმა) — მხოლოდ 23 ვილაიეთში. ორმა სხვა პარტიამ, რომლებიც მთავრობის კოალიციაში შედიან („ახალი თურქეთის პარტიამ" და „ერეხთა რესპუბლიკურმა ეროვნულმა. პარტიამ) სრული დამარცხება განიცადეს. ეროვნულმა პარტიამ, რომელიც ამას წინათ ჩამოშორდა ბლეხობის რესპუბლიკურ ეროვნულ პარტიას და ოპოზიციაში გადავიდა, მესამე ადგილი დაიკავა.

პირველად მაროკოს ისტორიაში

რაბატი, 19 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მაროკოს ისტორიაში პირველი პარლამენტის პირველი სესია. დეპუტატებს სიტყვით მიმართა მაროკოს მეფემ ჰასან II-მ.

თურქეთი. ანკარის ლატკოთა ტიპიური საცხოვრებელი უბანი.

საკდესის ფოტოკრონიკა.

მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაცია

ამ დღეებში ვარშავაში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერულ და ტექნიკურ გამოკვლევათა კოორდინაციის მუდმივი კომისიის მეოთხე სხდომა.

კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა.

კომისიამ განიხილა საკითხები: როგორი უნდა იყოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციის პრინციპები, იმ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო და ტექნიკურ გამოკვლევათა კოორდინაციის ნაკრები გეგმის პროექტი, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს და რომლებსაც ურთიერთდახმარების ეკონომიური საბჭოს წევრი ქვეყნები განახორციელებენ 1964-1965 წლებში, დეფიციტური სპეციალობების მეცნიერთა კადრების მომზადება და სხვა საკითხები, რომლებიც კომისიის საქმიანობას ეხება.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში.

ერთსულოვნად უჭერენ მხარს

ბუენოს-აირესი, 18 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ისიდორო ჰილბერტი** იუწყება:

არგენტინის საზოგადოებრიობა და პრესა ერთსულოვნად უჭერენ მხარს არტურო ილიას მთავრობის გადწყვეტილებას გაუქმოს კონტრაქტები უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის, ნავთობის კომპანიებთან, რომლებიც ზიანს აყენებენ არგენტინის ეროვნულ ინტერესებს.

არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მხურვალედ ულოცავს „ისტორიულ გადაწყვეტილებას" და მხარდაჭერას აუცხადებს მთავრობას ამ საკითხში. ამასთან წერილში აღნიშნულია, რომ საჭიროა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სახელმწიფოს დაუბრუნდეს მთელი მისი ეროვნული სიმდიდრე, გააუქმონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებული შეთანხმებანი, რომლებიც ეროვნულ დამოკიდებულებას ქვეყნის ინტერესებს, მიიღონ კოხერტული ღონისძიებანი ცხოვრების სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველად, გააუქმონ რეპრესიული კანონები.

სოციალისტურმა პარტიამ, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა, პროგრესულ-დემოკრატიულმა და სხვა პარტიებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ მთავრობის გადაწყვეტილებას.

მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაცია

ამ დღეებში ვარშავაში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერულ და ტექნიკურ გამოკვლევათა კოორდინაციის მუდმივი კომისიის მეოთხე სხდომა.

კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა.

კომისიამ განიხილა საკითხები: როგორი უნდა იყოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციის პრინციპები, იმ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო და ტექნიკურ გამოკვლევათა კოორდინაციის ნაკრები გეგმის პროექტი, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს და რომლებსაც ურთიერთდახმარების ეკონომიური საბჭოს წევრი ქვეყნები განახორციელებენ 1964-1965 წლებში, დეფიციტური სპეციალობების მეცნიერთა კადრების მომზადება და სხვა საკითხები, რომლებიც კომისიის საქმიანობას ეხება.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში.

ტრესტები მსხვილდება —უმუშევრობა იზრდება

ლონდონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ედინბურგის სადამოს გაზეთი „ივენინგ ნიუსი" დღეიდან ალარ გამოვა. როგორც გუშინ გამოცხადდა, ინგლისის უდიდესმა საგაზეთო ტრესტმა „ტომსონ ნიუსპეიპერს ლიმიტედმა" გაზეთი „ივენინგ ნიუსი" გაერთიანა ერთ-ერთ გაზეთთან, რომელიც ამ ტრესტში შედის, „ივენინგ დისპეტჩთან".

ეს წელი განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ბევრი ინგლისური გაზეთისათვის. მაისიდან მოკიდებული ბევრი მათგანი სულ დაიხურა ან შეუერთდა სხვებს, როგორც ეს მოხდა ბირმინჰემში, ნოტინჰემში, მანჩესტერსა და ბელფასტში.

ამასთან დაკავშირებით ძლიერდება უმუშევრობა გაზეთის მუშაკებს შორის. ჟურნალისტთა ეროვნული პროფკავშირის გაზეთ „ივენინგ ნიუსის" განყოფილების თავმჯდომარემ მილერმა განაცხადა, რომ ამ გაზეთის ლიკვიდაციის შედეგად ბევრ მის მუშაკს დაითხოვენ. რედაქციის თანამშრომლებს, აღნიშნა მილერმა, სამუშაოზე მოწყობის „ფრიად სუსტი" შანსი აქვთ.

გრძელდება თათბირი სირიაში

ლონდონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სირიის „რევოლუციური სარდლობა ეროვნულმა საბჭომ" დღეს განაახლა საგანგებო სხდომა, რათა შეიმუშავოს ვითარება, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შეიქმნა ერაყში, იუწყება რეიტერის საგანტო. დღეს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დადასტურეს, რომ პრემიერ-მინისტრი ამინ ჰაფეზი, სირიის ბაასის პარტიის გენერალური მდივანი მიშელ აფლაკი, სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი სალაჰ ჯადიდი და მინისტრი აბდელ ნაკშაბანდი, სრულიად არაბთა ბაასის პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, — ახლა იმყოფებიან ბაღდადში ერაყელ ლიდერებთან მოსალაპარაკებლად.

ჰოჯესი მოუწოდებს ვაჭრობის გაფართოებისაკენ

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დადგა დრო შეერთებულმა შტატებმა გადასინჯონ თავიანთი პოზიცია: როგორ ეკიდებიან ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, — განაცხადა შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა ჰოჯესმა ნიუ-იორკში მე-15 ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც საგარეო ვაჭრობის საკითხებს ეძღვნება.

ჰოჯესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონია, დასავლეთი გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და დასავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნები უკვე აწარმოებენ გაცხოველებულ ვაჭრობას სოციალისტურ ქვეყნებთან, ძაშინ როცა შეერთებული შტატების ვაჭრობა სოციალისტურ სამყაროსთან უმნიშვნელოა.

ქვეგანაყოფების წვრთნა

ტოკიო, 18 ნოემბერი. (საკდესი). ოკინავაზე დაიწყო ორ-კვირეული ქვეგანაყოფების წვრთნა, რომლებიც აღჭურვილი არიან ძარცული ყუმბარების — „ოკა"-ისა და „ნიკ-ჰერკულეს"-ის გასაშვებლი დანადგარებით. ოკინავის გაზეთ „რიუკიუ სიმპოსა" ცნობით, წვრთნა მიმდინარეობს ამერიკის პოლიგონ „ვოლპორნეტზე", რომელიც მდებარეობს ჯაპპას კონცხზე, 30 კილომეტრზე ქალაქ ნაჰის ჩრდილოეთით. წვრთნის გეგმით გათვალისწინებულია სხოლაში ვარჯიში ყოველი კვირის პარასკევიდან კვირა დღემდე, რაც გაგრძელდება მომავალი წლის იანვრის ბოლომდე.

ზოოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ვაშინგტონში



როგორც ცნობილია, ზოოლოგთა საერთაშორისო კონგრესები ეწყობა სხვადასხვა ქვეყნებში, პერიოდულად. ამას წინათ ზოოლოგთა XVI საერთაშორისო კონგრესი შედგა ვაშინგტონში. ასეთი კონგრესი მეორედ მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში (ზოოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესი შედგა ბოსტონში 1907 წელს).

ზოოლოგთა XVI საერთაშორისო კონგრესის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ამერიკის სამეცნიერო ორგანიზაციები და საზოგადოებები: ზოოლოგთა, ორნითოლოგთა, მამოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეკოლოგთა, ზოგად ფიზიოლოგთა, პროტოზოოლოგთა, ველური ბუნების შემსწავლელთა, იქტიოლოგთა და ჰერპეტოლოგთა, ეკონომიურ პალეონტოლოგთა და მინეროლოგთა, ზრდისა და განვითარების შემსწავლელთა, ევოლუციის შემსწავლელთა, სისტემატიკურ ზოოლოგთა, ენტომოლოგთა, პალეონტოლოგთა საზოგადოებები და ამერიკის ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი.

კონგრესის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ცნობილი პალეონტოლოგი ა. რომერი, ვიცე-პრეზიდენტებად კი გამოჩენილი ზოოლოგები, მათ შორის საბჭოთა ზოოლოგების მეთაური, აკადემიკოსი ე. პავლოვსკი, ჯ. ბაიერი, ჯ. ბერილი, და სხვ.

უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ძველი, არისტოტელესეული ზოოლოგია იმდენად განვითარდა, რომ უდიდესმა პროგრესმა გამოიწვია ზოოლოგიის დანაწევრება ცალკე დარგებად — ორგანიზმის განვითარება და ინტეგრაცია, ცხოველის მორფოლოგიის შეგუება მის ყოფაქცევასთან, ცხოველისა და მისი საარსებო გარემოს ერთიანობა და სხვ. ისინი მეტწილად შეისწავლება დამოუკიდებლად და იზოლირებულად. ახლა ყველა ეს მიმართულებანი, კონგრესის იდეის მიხედვით განხილულ უნდა იქნან როგორც ერთი მთლიანის მხოლოდ ცალკე ნაწილები, მხოლოდ ცალკე მიმართულებანი.

ზოოლოგიის ცალკე დარგების ერთ მეცნიერებად კვლავ შეკავშირება, რაც ზოოლოგთა XVI საერთაშორისო კონგრესზე სიმბოლიზებული იყო მითიური არსებით — ფენიქსით, ითვლება ამ კონგრესის ძირითად იდეად. ამგვარად, კონგრესის მთავარი ამოცანა იყო უნიფიცირებული აზრის გამომუშავება თანამედროვე ზოოლოგიაზე. მთელი რიგი სიმპოზიუმები დეთმო ცხოველთა ბიოლოგიის ცალკე საკითხების განხილვას (ცხოველთა აგებულება, ფიზიოლოგია, გენეტიკა, განვითარება, ევოლუცია, ტაქსონომია, ყოფაქცევა და ეკოლოგია).

ყოველ განხილულ საკითხს დიდი რეზონანსი ჰქონდა, რადგან განხილვაში მონაწილეობდა თანამედროვე ზოოლოგიური აზროვნების მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი. ამდენად შესაძლებელი გახდა კონგრესზე დასახულიყო თანამედროვე ზოოლოგიურ გამოკვლევათა ძირითადი პრობლემატიკის პერსპექტიული მონახაზები.

კონგრესზე წარმოდგენილი საპროგრამო პრობლემები განხილულ იქნა პლენარულ სხდომებზე. აქ განვიხილეთ გენეტიკური უფუნქციის პრობლემა — გენების ქიმიური აგებულება, გენების მუტაციებისა და კვლავ წარმოშობის საკითხები და მათი ფუნქციები მაკრომოლეკულების სინთეზის პროცესში; ცხოველური უჯრედის ბიოლოგიის პრობლემა — უჯრედის სტრუქტურისა და ფუნქციის, მაკრომოლეკულების სინთეზის საკითხები, ენერგიის გადაცემა უჯრედის შიგნით და ნაწილაკთა გადანაცვლება უჯრედის შიგნით, უჯრედთა შორის და მათ გარემოში; ცხოველთა განვითარების პრობლემა — კლასიკური აღწერითი და ექსპერიმენტული ემბრიოლოგიის მიერ მოპოვებული მონაცემების თანამედროვე გაგებასთან დაკავშირებით, უჯრედთა დიფერენცირებისა და ურთიერთ მოქმედების საკითხების შეფასება;

განხილულ იქნა აგრეთვე, ცხოველთა ყოფაქცევის პრობლემა — უჯრედის დონიდან მოყოლებული მოსახლეობის ყოფაქცევის დონემდე; ზოგადი ზოოლოგიური პრობლემები — ცხოველურ ორგანიზმთა სტრუქტურული აგებულებისა და მათში მიმდინარე ფიზიოლოგიურ მოვლენებთან ერთიანობის შესახებ, ზოგიერთ ფუნქციათა მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის, აგრეთვე ცხოველთა ცალკე ჯგუფების ფილოგენეზური ნათესაობრიობის განსაზღვრის საკითხები და სხვ.

ამას გარდა, სექციებისა და სიმპოზიუმების სხდომებზე დაწერილებით განიხილებოდა ცხოველთა ბიოლოგია, ცხოველთა გეოგრაფია. ეწყობოდა სხდომები ცალკე შრომების განხილვის მიზნით; იმართებოდა საღამოს სხდომები ფართო საზოგადოებრიობისათვის და კონგრესის მონაწილეებისათვის, კინოსეანსები მრავალ ზოოლოგიურ თემაზე.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ქვეყნის ზოოლოგებმა მონაწილეობა მიიღეს სხვა მოხსენებათა განხილვაში.

კონგრესის მუშაობისათვის გამოყენებულ იქნა ვაშინგტონის თანამედროვე კეთილმოწყობილი ორი უდიდესი, ერთმანეთთან ახლოს მყოფი სასტუმრო: „შერატონ პარკ ჰოტელი" და „შორეამ ჰოტელი". როგორც პლენარული სხდომები, ისე სექციებისა და სიმპოზიუმების მუშაობა მიმდინარეობდა შესანიშნავი აკუსტიკის მქონე დარბაზებში. ამასთან პლენარულ სხდომებზე გაკეთებული ყველა მოხსენების გადაცემა წარმოებდა ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ყველა მოხსენების გაფართოებული თეზისები წინასწარ დაიბეჭდა და დაურიგდა კონგრესის მონაწილეებს შრომათა კრებულების ოთხი ტომის სახით. კონგრესის მუშაობის პროცესში გამოდიოდა და კონგრესის მონაწილეებს ურიგდებოდა ყოველდღიური საინფორმაციო ბიულეტენები. სისტემატურად ეწყობოდა მუსიკის საღამოები სპეციალურად შერჩეული პროგრამის მიხედვით, გადაიცემოდა კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებები და სხვადასხვა ეროვნული მუსიკის ნიმუშები.

გარდა ოფიციალური სხდომებისა, კონგრესის მონაწილეთა ურთიერთ დაახლოების მიზნით მოეწყო შეხვედრები ვაშინგტონის ზოოპარკში, ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმში, ამერიკის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმში. მოეწყო ექსკურსიები ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ვნახეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი და სამეცნიერო ლაბორატორიები. ერთი შორეული ექსკურსია გვქონდა მერილენდის შტატში, სოლომონის კუნძულებზე, ჩიზეპიკის საოკეანო-ბიოლოგიურ ლაბორატორიაში.

კონტრასტებით აკრელებულ ამერიკის გულში მცირე დროით ყოფნის პერიოდშიც კი შევნიშნე რამდენიმე ფაქტი, რაც ალბათ მუდამ მეხსომება. ამ ქვეყანაში ადამიანის დამცირება უკვე თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე იწყება, ნიუ-იორკის აეროპორტში ჩხრეკენ თქვენს ნივთებს ძალიან გულდასმით, მონდომებით. რკინის, ბეტონის და მინის ვეებერთელა ცათამბჯენებით შემოკაკლულ ნიუ-იორკის ვიწრო ქუჩებში საცოდავად გამოიყურება ადამიანი, შიშის გრძნობა იპყრობს მას უმზეოდ დარჩენილ ვეებერთელა სახლებს შორის;

ნიუ-იორკის ხალხმრავალ ქუჩებზე თითქმის არავითარი მწვანე ნარგაობა არ არის, ცოცხალი მცენარე ვერ უძლებს ამ არეკუნებრივ გარემოს, იგი ჭნება და ხმება; მართალია, ნიუ-იორკის ცენტრი, ამერიკის ფულის და მატერიალური დოვლათის ძირითადი საბადო, ცისკენ არის აწვდილი, მაგრამ საერთოდ ამერიკა ერთსართულიანია. განცხრომაში მყოფი ერთი მუჭა კაპიტალისტების გვერდით აუტანელ შრომაში მიიზლაზნება მასების უღიმღამო ცხოვრება, მრავალი მშრომელის ბუნება ვერ იტანს ამ სოციალურ



მეცნიერთა თვალით

ბაზისურ ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებზე. ეროვნული ეკონომიკა ეფუძნებოდა ბაზისურ ინსტიტუტებს,

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ბათუმიდან რუმინეთსა და უნგრეთში

ბათუმი. (საკ. კორ.). გემთსამშენებლო ქარხნიდან ხშირად გამოაქვთ ლითონის დიდი ბადისები ყუთები, რომლებზეც ამოიკითხავთ სხვადასხვა მისამართს. ასე იყო იმ დღესაც — ერთ-ერთ ყუთზე გაჩნდა ახალი მისამართი: „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქალაქი ტოლჩა“. ყუთში ფაქიზად შეფუთულია საყოველთაოდ აღიარებული და მოწონებული ჭყალქვემაფრთებიანი კატარა.

გარდა ამისა, ბათუმელი გემთმშენებლები ნოემბერში სამ კატარას გაუშვიან უნგრელ მეგობრებსაც.

წლის ბოლომდე გემთმშენებლები შასრულებენ რამდენიმე საექსპორტო დაკვეთას, რისთვისაც მთელი ქარხნის კოლექტივი ახლა დაძაბულად შრომობს.

კონსერვი გეგმის ზევით

სიღნაღი. (საკ. კორ.). მოსკოვი, მურმანსკი, სვერდლოვსკი, კალინინგრადი — სად არ იგზავნება წნორის სკკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია. შეკონსერვეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს ძვირფასი სიმუქარი მიუძღვნეს — გეგმის ზევით 104 ათასი ქილა კონსერვი გამოუშვეს, თვითეული ქილა კონსერვის თვითღირებულება სამი კაპიკით შეამცირეს.

წლიური გეგმა ვადაზე 40 დღით ადრე — ასეთია ამჟამად ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილება.

კონცერტებზე კრემლის თეატრში

მოსკოვიდან სოხუმში დაბრუნდა სოხუმის მრეწველობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მომსახურებას უწევდა პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის დელეგატებს მოსკოვის საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში.

ამავე დროს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაში და პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

როგორც გამარჯვებულმა მხატვრულმა კოლექტივმა, სოხუმელებმა მოსკოვის კრემლის თეატრში გამართეს ორი კონცერტი.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. გრიშინმა სოხუმის მრეწველობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს გამარჯვება მიულოცა. მოსკოვის გაზეთებმა აღნიშნეს ანსამბლის წარმატებები.

მომავალ წელს ანსამბლი ერთი თვით გამართავს კონცერტებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ესტრადაზე.

ნ. მიქაშავიძე.

ბაკურიანი

ცხინვალი, 19 ნოემბერი. (საქდესი). სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივობამ ფართოდ აღნიშნა ნიჭიერი ოსი მწერლის თევდორე გაგლოევ-გაფეზის დაბადების 50 წლისთავი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი. შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში გაფეზმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოსურ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური პოეტური და პროზაული ნაწარმოები. გაფეზი მათი უმღერის კომუნისტურ პარტიას, მის შემქმნელს — ლენინს, საბჭოთა ხალხის კეთილმობილურ შრომას, სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მეომრების გმირობას. ფართო და მრავალფეროვანია პოეტის შემოქმედებითი დიაპაზონი და იდეურ-ესთეტიკური ინტერესები. ბევრი გულშიჩამწვდომი სტრიქონი უძღვნა მან ხალხთა მეგობრობას, მშობლიურ ენაზე გადათარგმნა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი და სხვა ხალხთა ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

საუბილეო სალამო გახსნა ჟურნალ „ფიდროგის“ რედაქტორმა გ. ძუგაევმა.

გაფეზის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა პოეტმა ნაფი ჯუსოევმა.

იუბილარმა მილოცვები მიიღო სსრ კავშირისა და უკრაინის მწერალთა კავშირებისაგან, ლიტერატურული გაზეთების რედაქციებისაგან, ჟურნალისაგან — „დრეფა ნაროდოგ“, აკარის, აფხაზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მწერლებისაგან.

ახალი სკოლა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისათვის კარგი საჩუქარი მიიღეს აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. სადღესასწაულოდ საექსპლოატაციოდ გადაეცათ ახალი სასკოლო შენობა ფართო და ნათელი საკლასო ოთახებით, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, პიონერთა და მოსწავლეთა ოთახით.

შ. პერანიძე,
საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.
აბასთუმანი.

განთიადისას...
ფოტოეტიუდი ზ. ხორავა-სი. სურათი წარმოდგენილია გაზეთ „კომუნისტის“ ფოტო-კონკურსზე.

ლექცია მშობლებისათვის

ამ დღეებში ტყიბულის კულტურის სახლში ლექცია თემაზე „მშობელთა როლი ბავშვთა აღზრდის საქმეში“ წაიკითხა საქართველოს კპ ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორმა, მასწავლებელმა ბ. ჯაფუხაძემ. ლექციას დაესწრო ქალაქის სკოლების მოსწავლეთა სამასზე მეტი მშობელი.

ნ. ჯინჯიხაძე.

ბაკურიანი

□ **ბაკურიანის** ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა კონმაახრობმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სპარტაკ ბაღაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა სტეფანე ჯაფარიძემ, გრიგოლ ფორჩხუას და სხვ.

საინტერესო რეპერტუარით გამოვიდა რესტორმენტული ეოკალური ტრიო ე. სეფაშვილის, გ. ბალარჯიანელის და ჯ. მუხადელის მონაწილეობით.

ნ. პავლოვა.

□ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). „გამარჯობათ, მეგობრებო!“ — ასე ჰქვია რაიონის კულტურის სახლთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. სხირტლაძე) ახალ პროგრამას. კოლმეურნეთა ინტერესს იწვევს ბრიგადის სოლისტების მიერ შესრულებული მუსიკალური ფელეტონები, სკეტჩები, ცეკვები და სიმღერები.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ უკვე შემოიარა რაიონის 23 სოფელი — ღები, უწერა, ნიკორწმინდა, ჭრებალო და სხვ.

□ **მას** შემდეგ, რაც ქუთაისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტელევიზორის გადამცემი ანძა, თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც იღებენ.

ახლა ცისფერი ეკრანის შუქი ზუგდიდშიც აკაფდა. რაიონის მეკრამა მშრომელმა შეიძინა ტელევიზორი. ზუგდიდელი ტელემაყურებლები კმაყოფილი არიან გადაცემების ხარისხით.

ე. ჩიქავა.

ბათუმიდან რუმინეთსა და უნგრეთში

ბათუმი. (საკ. კორ.). გემთსამშენებლო ქარხნიდან ხშირად გამოაქვთ ლითონის დიდი ბადისებრი ყუთები, რომლებზეც ამოიკითხავთ სხვადასხვა მისამართს. ასე იყო იმ დღესაც — ერთ-ერთ ყუთზე გაჩნდა ახალი მისამართი: „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქალაქი ტოლჩა“. ყუთში ფაქიზად შეფუთულია საყოველთაოდ აღიარებული და მოწონებული ჭყალქვემაფრთებიანი კატარა.

გარდა ამისა, ბათუმელი გემთმშენებლები ნოემბერში სამ კატარას გაუშვიან უნგრელ მეგობრებსაც.

წლის ბოლომდე გემთმშენებლები შასრულებენ რამდენიმე საექსპორტო დაკვეთას, რისთვისაც მთელი ქარხნის კოლექტივი ახლა დაძაბულად შრომობს.

კონსერვი გეგმის ზევით

სიღნაღი. (საკ. კორ.). მოსკოვი, მურმანსკი, სვერდლოვსკი, კალინინგრადი — სად არ იგზავნება წნორის სკკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია. შეკონსერვეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს ძვირფასი სიმუქარი მიუძღვნეს — გეგმის ზევით 104 ათასი ქილა კონსერვი გამოუშვეს, თვითეული ქილა კონსერვის თვითღირებულება სამი კაპიკით შეამცირეს.

წლიური გეგმა ვადაზე 40 დღით ადრე — ასეთია ამჟამად ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილება.

კონცერტებზე კრემლის თეატრში

მოსკოვიდან სოხუმში დაბრუნდა სოხუმის მრეწველობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მომსახურებას უწევდა პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის დელეგატებს მოსკოვის საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში.

ამავე დროს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაში და პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

როგორც გამარჯვებულმა მხატვრულმა კოლექტივმა, სოხუმელებმა მოსკოვის კრემლის თეატრში გამართეს ორი კონცერტი.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. გრიშინმა სოხუმის მრეწველობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს გამარჯვება მიულოცა. მოსკოვის გაზეთებმა აღნიშნეს ანსამბლის წარმატებები.

მომავალ წელს ანსამბლი ერთი თვით გამართავს კონცერტებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ესტრადაზე.

ნ. მიქაშავიძე.

ბაკურიანი

□ **ბაკურიანის** ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა კონმაახრობმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სპარტაკ ბაღაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა სტეფანე ჯაფარიძემ, გრიგოლ ფორჩხუამ და სხვ.

საინტერესო რეპერტუარით გამოვიდა რესტორმენტული ეოკალური ტრიო ე. სეფაშვილის, გ. ბალარჯიანელის და ჯ. მუხადელის მონაწილეობით.

ნ. პავლოვა.

□ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). „გამარჯობათ, მეგობრებო!“ — ასე ჰქვია რაიონის კულტურის სახლთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. სხირტლაძე) ახალ პროგრამას. კოლმეურნეთა ინტერესს იწვევს ბრიგადის სოლისტების მიერ შესრულებული მუსიკალური ფელეტონები, სკეტჩები, ცეკვები და სიმღერები.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ უკვე შემოიარა რაიონის 23 სოფელი — ღები, უწერა, ნიკორწმინდა, ჭრებალო და სხვ.

□ **მას** შემდეგ, რაც ქუთაისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტელევიზორის გადამცემი ანძა, თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც იღებენ.

ახლა ცისფერი ეკრანის შუქი ზუგდიდშიც აკაფდა. რაიონის მეკრამა მშრომელმა შეიძინა ტელევიზორი. ზუგდიდელი ტელემაყურებლები კმაყოფილი არიან გადაცემების ხარისხით.

ე. ჩიქავა.

მწერლის იუბილე

ცხინვალი, 19 ნოემბერი. (საქდესი). სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივობამ ფართოდ აღნიშნა ნიჭიერი ოსი მწერლის თევდორე გაგლოევ-გაფეზის დაბადების 50 წლისთავი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი. შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში გაფეზმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოსურ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ორიგინალური პოეტური და პროზაული ნაწარმოები. გაფეზი მათში უმღერის კომუნისტურ პარტიას, მის შემქმნელს — ლენინს, საბჭოთა ხალხის კეთილმობილურ შრომას, სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მეომრების გმირობას. ფართო და მრავალფეროვანია პოეტის შემოქმედებითი დიაპაზონი და იდეურ-ესთეტიკური ინტერესები. ბევრი გულშიჩამწვდომი სტრიქონი უძღვნა მან ხალხთა მეგობრობას, მშობლიურ ენაზე გადათარგმნა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი და სხვა ხალხთა ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

საუბილეო სალამო გახსნა ჟურნალ „ფიდროგის“ რედაქტორმა გ. ძუგაევმა.

გაფეზის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა პოეტმა ნაფი ჯუსოევმა.

იუბილარმა მილოცვები მიიღო სსრ კავშირისა და უკრაინის მწერალთა კავშირებისაგან, ლიტერატურული გაზეთების რედაქციებისაგან, ჟურნალისაგან — „დრეფა ნაროდოგ“, აკარის, აფხაზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მწერლებისაგან.

ხელოვნების ქრონიკა

□ **აბარის** ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა კონმაახრობმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სპარტაკ ბაღაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა სტეფანე ჯაფარიძემ, გრიგოლ ფორჩხუამ და სხვ.

□ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). „გამარჯობათ, მეგობრებო!“ — ასე ჰქვია რაიონის კულტურის სახლთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. სხირტლაძე) ახალ პროგრამას. კოლმეურნეთა ინტერესს იწვევს ბრიგადის სოლისტების მიერ შესრულებული მუსიკალური ფელეტონები, სკეტჩები, ცეკვები და სიმღერები.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ უკვე შემოიარა რაიონის 23 სოფელი — ღები, უწერა, ნიკორწმინდა, ჭრებალო და სხვ.

□ **მას** შემდეგ, რაც ქუთაისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტელევიზორის გადამცემი ანძა, თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც იღებენ.

ახლა ცისფერი ეკრანის შუქი ზუგდიდშიც აკაფდა. რაიონის მეკრამა მშრომელმა შეიძინა ტელევიზორი. ზუგდიდელი ტელემაყურებლები კმაყოფილი არიან გადაცემების ხარისხით.

ე. ჩიქავა.

შეხვედრა მეცნიერთან

გალი. (საკ. კორ.). ქალაქის ჭეოტყრის სახლში რაიონის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ თავიანთ თანამემამულეს, გამოჩენილ მეცნიერს, ლენინური პრემიის ლაურეატს აკადემიკოს ილია ვეკუას.

ი. ვეკუასთან შეხვედრისადმი მიძღვნილი საღამო გახსნა გალის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. კოკაიამ.

მოხსენება ი. ვეკუას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ გაკეთა გალის მესამე საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ფარულუამ.

სახელოვან მეცნიერს გულწრფელად მიესალმნენ: მისი თანასოფელი, სახელგანთქმული მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი ტერენტი აბუხბაია, ქალაქის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ხაბურზანია და სხვ.

შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეებს გულთბილი შეხვედრისათვის.

რუსულ წიგნის გეჭდვის 400 წლისთავისათვის

„სამოციქულოს“ კიდევ ერთი ეგზემპლარი

ლვოვი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ლვოვის ფრანკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ი. დ. ისაევიჩმა და დ. გ. ბუჩკომ ლვოვის ოლქის სოფელ ვერხნი ბილას ეკლესიაში აღმოაჩინეს „სამოციქულოს“ აქამდე უცნობი ეგზემპლარი, რომელიც გამოუცია რუს პირველ წიგნის მბეჭდავს ივანე ფეოდოროვს 1674 წელს ლვოვში.

ულტრაიისფერი სხივების საშუალებით შესაძლებელი გახდა ამოეკითხათ XVII საუკუნის უკრაინული გაკრული ხელით შესრულებული ჩანაწერი, რომელიც მოწმობს, რომ „სამოციქულოს“ ეს ეგზემპლარი აღუდგენია 1605 წელს და სეფელ ზალოსიანი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჩამოუტანიათ.

„სამოციქულოს“ ეს ეგზემპლარი გადაეცა ლვოვის სამეცნიერო ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნის კაბინეტს.

* * *

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ვ. დ. კუზმინას განმარტა ლვოვიდან მიღებული ეს ცნობა.

— **უწინარეს ყოვლისა,** — თქვა მან,— **მინდა მივულოცო ლვოვის** მეცნიერებს **ი. დ.** ისაევიჩსა **და გ. დ.** ბუჩკოს საინტერესო ნაპოვნი. **ნოვგოროდის** ოლქის ქალაქ სოლოცში ამას წინათ აღმოჩენილ „სამოციქულოსთან“ ერთად იგი იქნება კარგი საჩუქარი არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ მთელი ჩვენი ხალხისათვის რუსული წიგნის ბეჭდვის ოთხასი წლისთავის ზეიმის წინ.

მე-17 საუკუნეში უკრაინული გაკრული ხელით შესრულებული ჩანაწერი სოფელ ვერხნი ბილას წიგნზე ნათელს ჰფენს არა მარტო ამ ეგზემპლარის ისტორიას, რომელიც XVI საუკუნეში პოლონეთში მოხვედრილა, არამედ საერთოდ ფეოდოროვის „სამოციქულოს“ ფართო გავრცელების გეოგრაფიას იმ შორეულ დროში. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „სამოციქულო“ „ყამნთან“ ერთად ძველ რუსეთში იყო არა მარტო საეკლესიო, არამედ სასწავლო წიგნიც.

„კვატერონი“ — ახალი პრეპარატი

ადამიანი, რომელიც სტენოკარდიით არის დაავადებული, მუდამ ატარებს ჯიბით ვალიდოლს ან ნიტროგლიცერინს, რომელიც მას მართალია უყურებს გულის უეცარი შეტევით გამოწვეულ ტკივილებს, მაგრამ დაავადებას საბოლოოდ ვერ კურნავს.

„კვატერონი“ — ასე ეწოდება ახალ პრეპარატს, რომელიც ეროვნის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შექმნა აკადემიკოსმა არმენაკ მნჯოიანმა. ეს პრეპარატი სხვა წამლებისაგან გამოირჩევა იმით, რომ კურნავს სტენოკარდიას. მისმა კლინიკურმა გამოცდამ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოსა და ერევნის საავადმყოფოებში სასურველი შედეგი გამოიღო.

ა. სიმონიანი.

ყალქვეშა დირიჟაბლი

თერთმეტი ათასი მეტრი... რა იმალება ამ თავბრუდამხვევ სიღრმეში? საბჭოთა მეცნიერებმა მსოფლიოში პირველად გაზომეს მსოფლიო ოკეანის უდიდესი ღრმულები, მაგრამ ამ ღრმულების გამოკვლევა ჯერ ვერავინ ვერ შეძლო. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არ არსებობს ყალქვეშა ხომალდი — ბატისკაფი, რომელსაც შეუძლია არა მარტო მრავალ კილომეტრ სიღრმეზე ჩაეშვას, როგორც პიკარის ხომალდი, არამედ კიდევაც იმოძრაოს იქ.

ოკეანის ახალ საიდუმლოებათა გამოცნობისაკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ლენინგრადის ინსტიტუტ „გიპრორიბფლოტში“ პირველი საბჭოთა ბატისკაფის პროექტის დამთავრებაზე მუშაობს საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიურო. მის შემადგენლობაში არიან პირველი საბჭოთა ჰიროსტატის შემქმნელები — ინჟინრები დმიტრიევი და დეიმიდოვი, ინჟინერი ტოკარევი, ტექნიკოსი ფილიპოვი, მხატვარი კოლოსოვსკი და სხვები.

ბატისკაფებს ხატოვნად ყველქვეშა დირიჟაბლებს „უწოდებენ. დირიჟაბლი ჰაერის ოკეანეში დაცურავს. იმიტომ, რომ მისი კორპუსი ავსებულია ჰაერზე უფრო მსუბუქი გაზით. ყველზე უფრო მსუბუქი სითხე — ბენზინი, რომელიც ჩასხმულია უზარმაზარი ტივტივას ნაკეთურებში, ხელს უწყობს ბატისკაფს იცუროს ოკეანის ყოველ სიღრმეზე. ისევე, როგორც გაზი ემნის დირიჟაბლის ამწევ ძალას, ბენზინი ცურვის უნარს აძლევს ბატისკაფს. ოგიუსტ პიკარის ეს იდეა საბჭოთა კონსტრუქტორებმაც გამოიყენეს.

სიღრმის ჩვეულებრივი — მძიმე და მოუხერხავი ყველქვეშა ხომალდებისაგან განსხვავებით ახალ ბატისკაფს მსუბუქი კონსტრუქციებისაგან ააწყობენ. როგორ გაუძლებენ ისინი წყლის უდიდეს წნევას სიღრმეში? ამას იმით აღწევენ, რომ ტივტივას შიგნით დაცული იქნება ისეთივე წნევა. როგორიც გარეთ. საიმედო სარქველების საშუალებით ბენზინიან ნაკეთეურებში ქვემოდან შედის გარეთა წყალი.

სიღრმეზე ხომალდის ჩაშვებისას ბენზინი რამდენადმე იკუმშება და წყალი იკავებს ნაკეთურების ნაწილს. ამოყვინთვისას, პირიქით, ბენზინი ფართოვდება და გარეთ დევნის წყალს. ამრიგად, შიგნით და გარეთ ავტომატურად დაცულია თანაბარი წნევა.

სხვა საქმეა დამკვირვებელთათვის განკუთვნილი გონდოლა. იგი როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, ძალიან მკვიდრი უნდა იყოს, ვინაიდან იქ დაცულია ჩვეულებრივი „მიწიერი“ წნევა. ეს კი რამდენიმე ასეულჯერ ნაკლებია წყლის გარეთა წნევაზე. გონდოლაში მოხვედრა შესაძლებელი იქნება ხომალდის ზედა ბაქნიდან შვეული შახტით, რომელიც ტივტივას შიგნით გაუვლის. შახტიდან გონდოლაში ჩასასვლელს დაფარავს ძალიან მკვიდრი ლუკი ალექსიგლასის ილუმინატორით.

ყოველ სიღრმეზე გონდოლაში უსრუნველყოფილი იქნება დამკვირვებელთა მუშაობის ნორმალური პირობები.

გონდოლას სხვადასხვა ხელსაწყოები ექნება. იქ დადგამენ სიღრმეთა ბინდრიგნის დასაშერ მახეებს, ბაქუებს, წყლის სინჯების ასაღებ მოწყობილობას.

როგორ გადაადგილდება ბატისკაფი წყალქვეშ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე?

ამისათვის გათვალისწინებულია ელექტრომოტორები, რომლებსაც ექნება მოსასმელი ხრახნები — ტივტივას თვითეული ბორტიდან თითო. პიკარის ბატისკაფს ასეთი ძრავები არ ჰქონდა, და ეს ძალიან ზღუდავდა მის შესაძლებლობებს.

წყალქვეშა დირიჟაბლი შეძლებს ვერტიკალურც იმოძრაოს და ჰორიზონტალურიც. ხოლო მოსაბრუნებელი მექანიზმი, რომელიც მოტორებს ტივტივებთან აერთებს, კიდევ გაადიდებს ამ წყალქვეშა სამეცნიერო-საკვლევი გემის მანევრულობასა და მოძრაობის უნარს. როცა ბატისკაფი თავის სამუშაოს დაამთავრებს და ზღვის ზედაპირზე უნდა ამოვიდეს, იგი. ისევე როგორც ჰაერის დირიჟაბლი, მოიშორებს बალასტს, მართალია, არა ქვიშას, არამედ ლითონის საფანტს. საბჭოთა ბატისკაფი შეძლებს მსოფლიო ოკეანის ფსკერის კვლევა აწარმოოს 2 ათასამდე მეტრ სიღრმეზე.

წყალქვეშა დირიჟაბლის გა-2000-ის აგება განზრახულია 1965 წელს დამთავრდეს.

ლ. პოსტომენკოვა.

„კვატერონი“ — ახალი პრეპარატი

ადამიანი, რომელიც სტენოკარდიით არის დაავადებული, მუდამ ატარებს ჯიბით ვალიდოლს ან ნიტროგლიცერინს, რომელიც მას მართალია უყურებს გულის უეცარი შეტევით გამოწვეულ ტკივილებს, მაგრამ დაავადებას საბოლოოდ ვერ კურნავს.

„კვატერონი“ — ასე ეწოდება ახალ პრეპარატს, რომელიც ეროვნის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შექმნა აკადემიკოსმა არმენაკ მნჯოიანმა. ეს პრეპარატი სხვა წამლებისაგან გამოირჩევა იმით, რომ კურნავს სტენოკარდიას. მისმა კლინიკურმა გამოცდამ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოსა და ერევნის საავადმყოფოებში სასურველი შედეგი გამოიღო.

ა. სიმონიანი.

ელექტრონები და მხედველობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტმა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტმა ერთად მოაწყეს ახალი ექსპერიმენტები თვალის ბადურაზე შუქის მოქმედების შესასწავლად. ექსპერიმენტების დროს პირველად იქნა გამოყენებული ეგრეთწოდებული ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდი.

ბევრი ნივთიერება მნიშვნელოვანი ოდენობით შეიცავს „თავისუფალ“ ელექტრონებს, რომლებიც სუსტად არიან დაკავშირებულნი მაგარი სხეულის კრისტალურ ცხაურთან. ასეთ ელექტრონებს უნარი შესწევთ შთანთქან ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ამასთან შთანთქმის კოეფიციენტი თითქმის არ არის დამოკიდებული ერთი ელემენტარული „პორციის“, გამოსხივების კვანტის ენერგიაზე. მაგრამ თუ ნივთიერებას მოვთავსებთ მუდმივ მაგნიტურ არეში, სურათი იცვლება: თავისუფალი ელექტრონები ამ შემთხვევაში „აღიქვამენ“ მხოლოდ ზუსტად გარკვეული ენერგიის კვანტებს. სწორედ ასეთ მოვლენას ეწოდება ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი.

ეს ეფექტი შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ „თავისუფალი“ ელექტრონების რიცხვის შეცვლა ყოველ ნივთიერებაში, მათ შორის თვალის ბადურაშიც. აღმოჩნდა, რომ ბადურაზე კაშკაშა შუქის მოქმედებისას თავისუფალი ელექტრონების რიცხვი ბადურაში მნიშვნელოვნად იზრდება. მოხერხდა იმის გამოკვლევაც, რომ პიგმენტის ეპითელიუმის ნივთიერება, რომელიც თვალის გუგას ამა თუ იმ შეფერილობას აძლევს, მჭიდროდ არის დაკავშირებული შუქის ენერგიის გარდაქმნასთან ნერვულ აგზნებად.

შუქის იმ „გადაქცევის“ მონაცემებთან შედარებამ, რომელიც ფოტოსინთეზის დროს მწვანე მცენარეებში სდება, ცხადყო, რომ ორივე შემთხვევაში ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრები ძალიან დაახლოებულია. შესაძლოა, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის და ასახავს იმ ფიზიკური პროცესების ერთგვარ ერთობას, რომლებიც შუქის მოქმედებით თვალის ბადურასა და მცენარეთა ფოთლებში ხდება.

ამინდი

ქომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: ბარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 8-20-48, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი ვისამართი და ტელეფონები

3. სმისლოვის გამარჯვება

ბაკურიანი — მოსკოვში გაიმართა ვ. ტ. გრიზინის ხსოვნას საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირის უკანასკნელი მეთხუთმეტე ტური.

ყველაზე ადრე დამთავრდა ლიდერის — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. სმისლოვისა და უნგრელ გროსმაისტერ ლ. საბოს პარტია. მოწინააღმდეგეებმა სატურნირო ცხრილში ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს.

სწორედ ეს ნახევარი ქულა სჭირდებოდა საბჭოთა გროსმაისტერს პირველი ადგილის მოსაპოვებლად. შეჯიბრების მონაწილეებმა და მაყურებლებმა ვ. სმისლოვს, რომელმაც ასპარეზობა დაუმარცხებლად ჩაატარა და 11.5 ქულა შეაგროვა, ტურნირში გამარჯვება მიულოცეს.

სამი ლიდერი

ქალთა საჰადრაკო ჩემპიონატის ფინალისტთა სტარტი ბაქოში შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება.

მეორე ტურში პარტიათა უმრავლესობა გადაიდო. საქართველოს წარმომადგენელმა ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი ვოლპერტი, სკეგინამ — კანტოროვიჩი. შადურა-კოზლოვსკაიასა და დმიტრიევა-ბორისენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მესამე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბიკოვამ წაიბორძიკა, იგი იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა პირველთანრიგოსან კაზმინასთან პარტიაში. თბილისელმა ივანნოვამ მოუგო საერთაშორისო ოსტატ ზვორიკინას, კანტოროვიჩმა — შადურას, კოზლოვსკაიამ — რანიკუს. პოსტნიკოვა-კუშნირისა და როუტარე-ვოლპერტის პარტიებში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ გაიმართა პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ლღვისათვის ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ა. ჩაიკოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია და ლ. პოსტნიკოვა, რომელებსაც ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ.

3 მატჩის 7 გოლი

გუშინ მოსკოვსა და დონის როსტოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

გათამამშეების ლიდერი მოსკოვის „დინამო“ თამაშობდა დედაქალაქის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 2:0.

დონის როსტოვის სკა-მ საკუთარ მოედანზე მოუგო დონეცკის „შახტორს“ 3:2.

მეორე მატჩი მოსკოვში ადგილობრივი „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

დღისათვის სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ მოსკოვის „დინამო“ დგას, რომელსაც 35 თამაშიდან შეგროვილი აქვს 52 ქულა. მეორე ადგილზეა დედაქალაქის „სპარტაკი“ (36 თამაშიდან 50 ქულა), მესამეზე — მინსკის „დინამო“ (38 თამაშიდან 48 ქულა), მეოთხეზე — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (37 თამაშიდან 45 ქულა), მეხუთეზე — ლენინგრადის „ზენიტი“ (38 თამაშიდან 45 ქულა).

კალენდარი კვლავ შეიცვალა

**უკან